

240K 9318
3

ს ა რ ზ ი ს კ ა კ ა ბ ა ქ ი .

რუსნოზი აფხაზ-ივერეთის
გეოგრაფიული II



ტ ვ ი ლ ი ს ი
მლექტრონით-მბეჭდავი სტამბა პრ. კერესელიძისა, გაბაშვილის ქუჩა, № 1.
1 9 1 3

ფ. 5. 2015-19487

420 66

~~სპ. კ. 9318~~
3

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავში იპოება ერთი სიგელი, რომელიც ეკუთვნის აქამდის უცნობს თამარ II-ს და რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო მცირეოდენ შეცდომებით საქართვე. სიძველ. II ტ. გვ. 372—374. სიგელი დაწერილია ტყავზედ სიგრძით 82 სანტმ., სიგანით 15 სანტმ. მოგვაქვს აქ ტექსტი ამ ფრიად საინტერესო საბუთისა სრულიად უცვლელად:

სახელითა. ღმრთისათა. მამისათა. ძისათა. მამისათა. ძისათა. და სულისა. წმიდისათა. ჩუენთა. აფხაზთა. ჯიქთა. სუანთა. და მეგრელთა კახთა. და სომეხთა. ლიხთ იმერისა. და ლიხთ ამერისა. ორისავე. საკელმწიფოსა. მპყრობელმან. მეფეთა. მეფემან თამარ. და ჩუენთა. თავადთა. და ებისკოპოზთა. ყოვალისა. საქრისტიანოსა. რჯულისა. მამაგრებელთა. მანდატურთა. მანდატურმან. დადიანმან. ამილახორთა. და ერისთავათა. და ჩუენისა. კარისა. მოსამსახურეთა. და აზნაურიშუილთა. კარისა. ჩუენისა. მოსამსახურეთა. ერთობით. შეგიწყალეთ. და გიბოძეთ. სასისხლო ესე. სიგელი თქუენ იაკობიძეთა. *) გელათისა. წინამდევთა. იაკობს. და რომანოზს. შალვას. და ოქროპირსა. და გიმტიცეთ და გიბოძეთ. სიგელი. ესე მას. მას ჟამსა. ოდეს. მოხუედით. და გუიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება. თქუენი. და გიბოძეთ და გაგიჩინეთ. ას ოცი ათასი კილმანური თეთრი სრული. სისხლი. თორმეტი. გლეხი. თორმეტი ცხენი. თორმეტი. თეთრი. ქორი. თორმეტი. ჯორი. თორმეტი. მეძებარი. სამი. ხატი. მას ჟამსა. შინა. ოდეს. შენი. გუარის კაცი. ოქროპირი. ციხისთავამან. ფულარიანმან. მოკალა. და გაგიჩინეთ. სრული სისხლი. ამად რომე. ჩუენისა მოლარეთ. უხუცესი. იყავა. და ჩემისა. სალაროთა. და გიურვე და გიბოძე სამწეს. თორმეტი. გლეხი ამას გარეთ. ფულარიანმან და გიურვა. რაცა ამა სიგელსა. შიგა სწერია სრული. სისხლი. და ვერა. ამოგი-

*) ამ სიტყვის ადგილას ტყავი ნაწვალბოა. სჩანს შემდეგ დროში ცდილან, ეს სიტყვა სხვაგვარად გადაეკეთებინათ.

ვიდა და ცოლსა ჩემეული, ზუნარი, წამოჰკადა და ვერცა, მაშინ ამოგივიდა. ჩუენითა, შუაობითა, დაგაურვა, სისხლი ესე, ასრე და ამა პირსა, ზედა რომე, ვინცა, შინა ჩაგიკდეს, და ალაფი წავისხას, ალაფიცა უკალეზად, შეგეჰქცეს, და თორმეტი ათასი, სხუა, გემატოს: ვინცა დარაბას, უსამართლოდ შეგასმინოს, ნახევარი, სისხლისა, დაგეუროს, გრძნეულობა შემოგყვივლოს, და მართალი გამოხუიდე, სრული, სისხლი, დაგეუროს, ვინცა, ცოლი, მოგითრიოს, და მანდილნი, მოგიკადნეს, ნახევარი სისხლისა დაგიუროვოს, ვინცა, ცოლი მოუ(...)ნას, სრული, სისხლი დაგუროს ვინცა, დასწავალილი, ქალი, დაგიგდოს, რაცა მოეტანოს, მას გარეთ, ექუსი ათასი დაგიუროს, ვინცა, დასწავლილი ქალი წაგართუას, რაცა მიგეტანოს, მას, გარეთ, თხუთმეტი ათასი, სხუა, დაგეუროს ვინცა საღალატოდ წინა დაგიდგეს, და გამჟღავნებითა, მორჩე, ექუსი ათასი, დაგეუროს, სიკუდილისა, ცდისათვის ვინცა თუალითა, ანუ, წინა, კბილითა, დაგაშაოს, თორმეტი ათასი, დაგეუროს, ვინცა, სადალოდ დაგკოდოს, საჩინოსა, ადგილსა, ექუსი ათასი, დაგეუროს, ამა, თეთრისა, ვინცა, უსამართლოდ, მუქარა, გთხოს, და ლაშქართა, ზედა, შეგარცხუნოს, სამი ათასი, თეთრისა დაგიუროს, ვინცა, კელითა ანუ, ფერკითა, დაგაშაოს, მესამედი, ამა თეთრისა, გაგიჩინეთ, ჩუენ, ყოვალისა, საქრისტიანოსა, აღმოსავალეთისა დასავალეთისა, მპყრობელმან მეფეთა, მეფემან თამარ და ჩუენთა, ათაბაკათა, და ამილახორთა, და ერისთავათა, და ამირიჯიბთა, და თავადთა, და მოსამსახურეთა, კარისა, ჩუენისათა, ესე ერთობით, დაგიმკუიდრეთ, ვერავინ, შევიცუალოს სიგელი ესე, მტკიცე, და მოუშლელი, მიზეზ შემოუღებელი, სამკუიდრო, ვინცა და რამანცა, კაცმან, შევიცუალოს, ჩუენთამცა, ბრალთაგან გაიკითხუის არცა, ვინ, ღირსა, შეშლასა და არცა, გაცუდებასა, დაიწერა, სიგელი, ესე, კელთა, სახლის უხუცესითა, რომანოზისა, ბერისათა, ქრონიკონსა, ას ოცდა ერთსა: —

ზგუუჲად: თამარ: მეფემან: უმტკიცე.


ეს სიგელი ბოძებულია თამარ მეფის მიერ 121 ქრონიკონს, რაიც უდრის 1433 წ. ერთის შეხედვით ეს სიგელი ფრიად უცნაურად უნდა გვეჩვენოს, რადგან აქამდის მიღებულ ისტორიულ სქემის მიხედვით საქართველოს ამ დროს ბატონობს დიდი ალექსანდრე მეფე, რომლის თანამედროვედ დასავლეთ საქართველოში ვახუშტი ბატონიშვილი სთვლის დიმიტრი ერისთავს, მამას აფხაზ-ქართველთა მეფის ბაგრატ VI-ისას. ერთს ჩემს შრომაში (გენეალოგია ბაგრატ VI-ისა) მე უკვე უჩვენე, რომ ვახუშტი ამ დიმიტრი ერისთავის შესახებ ცხად შეცდომაშია, რომ მამა ბაგრატ VI-ისა იყო გიორგი მეფე, ხოლო დიმიტრი ერისთავი შეტანილი უნდა იყოს ვახუშტისებურ გენეალოგიაში გაუგებრობისა გამო და შესაძლებელია ვახუშტი შეცდომაში შესუ-

ლიყო იმის გამო, რომ ამ დროს ცნობილია სხვა დიმიტრი მეფე, შვილი დოდის ალექსანდრე მეფისა. ამ ჩვენს სიგელის შინაარსიდან სჩანს, რომ ის ბოძებულია თამარ მეფის მიერ. ის გარემოება, რომ აქ თამარი მეფედ არის წოდებული გვიჩვენებს, რომ ის არის გვირგვინოსანი მბრძანებელი. ამიტომაც აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს ალექსანდრე მეფის ცოლი თამარ დედოფალი. გარდა ამისა, მე შინახავს ამ თამარ დედოფლის ხელის მოწერა ერთს 1424 წლის მცხეთის სიგელზე, რომელიც ბოძებულია ალექსანდრე მეფის მიერ და ეს ხელის მოწერა სრულიადაც არა გავს 1433 წლის თამარ მეფის ხელის მოწერას. ექვს გარეშეა, ამის და ტიტულატურის მიხედვით რომ ისინი სხვადასხვა პირნი არიან.

1433 წლის სიგელი ბოძებულია „გელათისა წინამდევთა“ იაკობიძეთა მიმართ, რომელ სახლის უფროსი იყო თამარ მეფის მოლარეთ-უხუცესად. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ თამარი არის დასავლეთ საქართველოს დინასტიის წევრი. ამისვე მაჩვენებელია იგრეთვე ტიტულატურა მეფისა: „ჩუნ(თა) აფხაზთა, ჯიქთა, სუანთა და მეგრელთა, კახთა და სომეხთა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე საკელმწიფოსა მპყრობელმან“. ჩვეულებრივი ტიტული მეფისა კი იყო: „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე, შაჰანშა და შარვანშა“. აქ ჩვენ ვხედავთ ტიტულის შეცვლას, ექვს გარეშეა აფხაზეთის სამეფოს ნიადაგზედ, რადგან სწორედ აფხაზეთის მეფის ბრძანებლობის ქვეშ იყვნენ ჯიქნი, სუანნი და მეგრელნი. ამისავე მაჩვენებელია კიდევ შემდეგი ადგილი: „მეფეთა მეფემან თამარ და ჩუნთა თავადთა და ების კოპოზთა, ყოვლისა საქრისტიანოს რჯულისა მამაგრებელთა მანდატურთა მანდატურმან დადიანმან, ამილახორთა და ერისთავთა... გიბოძეთ“. მანდატურთ-უხუცესი დადიანი აფხაზეთის სამეფოს ერთი მთავართაგანი იყო. ყველა ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ თამარ არის თვითმპყრობელი ხელმწიფე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.


ახლა ჩვენ უნდა შევეცადოთ შეძლებისა დაგვარად გავარკვიოთ, ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნობი თამარ მეფე. ბაგრატ VI აფხაზეთის მეფე, რომელმაც შემდეგ ქართლიც დაიპყრა, დაჯდა ტახტზედ 1453 წ. და გარდაიცვალა 1478 წ. მისი პიროვნება ისტორიაში კარგად ცნობილია და არავითარ იქვს არ იწვევს. ერთს ჩემს შრომაში მე უკვე გავარკვიე, რომ მამა ამ ბაგრატ VI-ისა იყო გიორგი. ამ გიორგის მამისა და პაპის ვინაობა საძიებელია, მაგრამ როგორც მე უკვე უჩვენე ნახსენებ შრომაში, ერთი სიგელი გვაძლევს ამის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობას. სახელდობრ, 1460 წლის კარგად ცნობილ ჟურულის სიგელს, რომელიც ბოძებულია გიორგი IX-ს მიერ, მიწერილი აქვს შემდეგი: „ქ. შემდგომად ამისა ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ ნებითა ღთისათა დავიპყართ მეფობა ორისავე ტახტისა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა და ვნახეთ სიგელი ესე სასისხლო შეწყალებისა ბიძისა ჩუნისა გიორგისაგან წყალობითა ბოძებული და ჩუნცა შე-

დიდი ალექსანდრე



ერეკლე ყოფილა მესამე თაობის ბიძა ელენესი და ეკლესია მისი ქორწინების წინააღმდეგი იყო. მით უმეტეს წინააღმდეგი იქნებოდა ეკლესია ხვარამზე და ვახტანგ ბატონიშვილების ქორწინებისა, უკეთუ ისინი მართლაც მესამე თაობის ბიძაშვილნი ყოფილიყვნენ.


1526 წ. 25 მარტს ქართლის მეფის დავითის შვილმა ლუარსაბმა შეირთო ცოლად იმერეთის მეფის ბაგრატ VII-ის ქალი თამარ. გენეალოგიური შტო ლუარსაბის და თამარისა არის შემდეგი:



უკეთუ ბაგრატ VI ყოფილიყო დიმიტრისა და გიორგი IX-ს დის შვილი, მაშინ ლუარსაბი გამოდის მესამე თაობის ბიძა თამარ ბატონიშვილისა. ანალოგიურ შემთხვევაში, როგორც ზევით დავინახეთ, ეკლესია წინააღმდეგა ქორწინებას ერეკლე ბატონიშვილისა და ელენე ბატონიშვილის შორის. ამ მოსაზრების მიხედვით მე მგონია, რომ ბაგრატ VI არ უნდა ყოფილიყო დის შვილი გიორგი IX-სა და არც ბაგრატ VI-ის მამიდა ან დეიდა ყოფილა გათხოვილი გიორგი IX-ზე. მათ შორის უნდა ყოფილიყო ცოტა უფრო დაშორებული ნათესაობა ერთი თაობით მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწინება, მაგალითად, მათ შთამომავალთა ვახტანგ და ხვარამზე ბატონიშვილთა შორის შეუძლებელი იქნებოდა.

ჩემს გამოკვლევაში ბაგრატ VI-ის გენეალოგიის შესახებ მე უკვე უჩვენე ის მოსაზრებები, რომელთა მიხედვით გიორგი, მამა ბაგრატ VI-სა, უნდა ყო

ფილიყო უნკროსი შვილი ბაგრატ, დიდის ალექსანდრე მეფის ძმისა. გიორგი მეფის († 1455 წ.) წინამოადგილე იყო ძმა მისი მეფე კოსტანტინე, რომელიც გარდაიცვალა 1439 წელს, როგორც ეს სჩანს შემდეგი გენეალოგიური ტაბულიდან:



ამ ტაბულის მიხედვით გიორგი IX მართლაც ბაგრატი VII-ის ბიძად მოდის, მხოლოდ მეორე თაობისა. ამ შემთხვევაში ზემოდ მოყვანილი ფაქტი ვახტანგ და ხვარამზე ბატონიშვილების ქორწინებისა უცნაურ ფაქტად არ უნდა მოგვეჩვენოს, რადგან ისინი უნდა ყოფილიყვნენ მეოთხე თაობის ბიძაშვილებად. თუ მესამე თაობის ბიძას ეკლესია ნებას რთავდა თავისი ბიძაშვილის შვილი შეერთო თუმცა საკანონოს დადებით, როგორც ეს ერეკლე მუხრანის ბატონიშვილის მაგალითიდან სჩანს, მით უმეტეს შესაძლებელი იქნებოდა ქორწინება მეოთხე თაობის ბიძაშვილთა შორის.

თამარ მეფის ვინაობის გასარკვევად საყურადღებოა ის გარემოება, რომ თამარი ექვს გარეშეა აფხაზეთის მეფეა, მაშასადამე ბაგრატ VII, რომელიც გიორგი IX-ს თავის ბიძად სთვლის, მისი პირდაპირი შთამომავალია. რაკი იმავე დროს ეს ბაგრატ VI დიდის ალექსანდრეს ძმის ბაგრატ V შვილისშვილია, ამიტომ საფიქრებელია, რომ თამარ მეფე გათხოვილი უნდა ყოფილიყო ამ ბაგრატ V-ზე. ამ შემთხვევაში უცნაურად არ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ბაგრატ VI-მ ქართლში შედარებით ადვილად მოიკიდა ფეხი, მიუხედავად იმისა, რომ ის დასავლეთ საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო. თამარისა და ბაგრატის ქორწინება ექვს გარეშეა განამტკიცებდა დინასტიურ კავშირს და გარდა ამისა თამარ მეფის შვილსა და შვილიშვილს მოუპოვებდა ქართლში გავლენას.

თამარ მეფე 1433 წ. უკვე ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყო და საგულისხმებელია დაქვრივებულიც იყო, რადგან მისი მოლარეთუხუცესი გელათის წინამდევად ითვლება, ხოლო სახლთუხუცესად რომანოზ ბერი არის. ის გარემოება, რომ თამარ მეფის თანამდებობის პირნი ბერები არიან, უნდა გვიჩვენებდეს, რომ 1433 წ. თამარი უკვე დაქვრივებულია, მაშასადამე ქმარი

მისი, ძმა ალექსანდრე საქართველოს მეფისა, ბაგრატ V, ამ დროს მკვდარი ყოფილა. ვისი ასული იყო მეფე თამარ. პირდაპირი ცნობა ამის შესახებ ჯერ არ მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ, რომ 1402 წ. ჩალაღანს მოკლულ იქნა აფხაზეთის მეფე კოსტანტინე, რომლის შემკვიდრედ ვახუშტი შეცდომით სთვლის არ არსებულს დიმიტრის. ჩემის აზრით თამარ მეფე უნდა ყოფილიყო ასული ამ კოსტანტინე მეფისა. რადგან ტახტი ასულზე გადასულა, ცხადია, რომ კოსტანტინეს ვაჟი არ დარჩენია.

დიდი ალექსანდრე მეფე გამეფდა 1412 (იხ. ჩემი— მისი გამეფების თარიღი) სექტემბერში, 22 წლისა, მაშასადამე ის დაბადებულა 1390 წელს. კოსტანტინე მეფის სიკვდილის წელს (1402) ალექსანდრე იქნებოდა 12 წლისა, ხოლო ძმა მისი ბაგრატ დაახლოვებით 10 წლისა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბაგრატ წლოვანობით დაახლოვებით თამარ მეფის შესაფერი იქნებოდა, მაშინ გამოდის, რომ 1402 წ. მამის სიკვდილისას თამარი მცირე წლოვანი დარჩენილა.

ყველა ზემოდ მოხსენებულ მოსაზრებების მიხედვით გამოდის, რომ მე. XV საუკ. პირველ ნახევარს აფხაზ-იმერეთის სამეფო ტახტზე იჯდა თამარ მეფე, ასული კოსტანტინე აფხაზთა მეფისა, რომელიც გამეფებულ იქნა 1402 წ. ჯერ კიდევ მცირე წლოვანი. შემდეგ ის მითხოვდა დიდის ალექსანდრე მეფის ძმას ბაგრატს, რომელიც თავისს ცოლზე ადრე გარდაიცვალა. დაქვრივებული თამარ მეფე ცოცხალი იყო ჯერ კიდევ 1433 წელს. ბაგრატისა და თამარ მეფეების შემკვიდრე იყვნენ მათი შვილები კოსტანტინე 1439 წლამდის და შემდეგ გიორგი († 1455 წ.), რომელიც იყო მამა მეფის ბაგრატ VI-ისა.

საბოლოო აღიარებებიან ქართველთა ცხოვრებას ანგვიწილ
 ნობს. ანგვიწილთა ში სომეხთაგან დასწავლად დასწავლად დასწავლად
 კიოფისობს. IV ტომგან განათმარენ დასწავლად დასწავლად დასწავლად
 იყობს. თუთაგანმოწინონ ირინაფობინ იპინ. კიოფისობს დასწავლად დასწავლად
 -იქნსმოწინონ V ტომგან მისს მტრთმამაქილთა დასწავლად IV ტომგან დასწავლად
 ითუთაგან დასწავლად დასწავლად დასწავლად დასწავლად დასწავლად დასწავლად
 დასწავლად დასწავლად დასწავლად დასწავლად დასწავლად დასწავლად დასწავლად

მისი. უსამართლო-მ ვეწვა
 იხან. ნებეჟი. სიხლონი. მუჟ
 ხან. 0 გიძნეულადგა მუჟი
 მუჟი. მამიანი ვამანი
 00. სიხლონი. სიხლონი. მუჟი
 ხან. 0 მუჟი. სიხლონი. მუჟი
 ხან. მამიანი. მამიანი
 00. ნებეჟი სიხლონი
 ხან. მუჟი. მუჟი. მუჟი
 მუჟი. სიხლონი. სიხლონი

უხან 0 მუჟი. მამიანი
 იხან. მუჟი. მუჟი
 მუჟი. მამიანი. მამიანი
 მამიანი მამიანი. მამიანი
 მამიანი. მამიანი. მამიანი
 მამიანი. მამიანი. მამიანი
 მამიანი. მამიანი. მამიანი
 მამიანი. მამიანი. მამიანი

և ու Նիսիս. թշուղիս. օրհն
 և լուսաշար. յորն. թշուղիս.
 Թ շամբուս. Թ շուր. Թ
 յնս սան. թշուղիս. և ու
 թշուղիս. և Նիսիս
 օրհն Նիսիս. սոստոս. սնու. յ
 սն. թշուղիս. թշուղիս.
 սանիշուս սան. թշուղիս.
 օրհն Նիսիս. և թշուղիս. թշուղիս.
 թշուղիս. և թշուղիս. սթուղիս.
 թշուղիս սան. թշուղիս. ս
 թշուղիս. թշուղիս. յնս
 սոստոս. թշուղիս. թշուղիս. Թ
 թշուղիս. Թ շուր. թշուղիս
 սն. և թշուղիս. սոստոս. թշուղիս.
 օրհն Նիսիս. թշուղիս. ս
 սն. թշուղիս. թշուղիս. Թ
 և թշուղիս. սն. սոստոս. թշուղիս.
 Թ շուր. թշուղիս. թշուղիս.

იანსა. აღმსრულებელი რაბა
 რაქთიან. მღვწისმეტყველებს
 თ. ზოგადი სამართალი რაქნობა.
 სასჯელის. რამდენიმე რაქნობა.
 რაქნობა თანა. რამდენიმე
 თ. რაქნობა. რამდენიმე
 რაქნობა. რაქნობა. რაქნობა. რაქნობა.
 რაქნობა. რაქნობა. რაქნობა. რაქნობა.

რაქნობა. რაქნობა. რაქნობა. რაქნობა.
 რაქნობა. რაქნობა. რაქნობა. რაქნობა.
 რაქნობა. რაქნობა. რაქნობა. რაქნობა.
 რაქნობა. რაქნობა. რაქნობა. რაქნობა.

Երկու շաբաթ անց
 Երկու Երկու շաբաթ:
 Երկու շաբաթ անց
 Երկու շաբաթ:

Երկու շաբաթ:
 Երկու շաբաթ:
 Երկու շաբաթ:
 Երկու շաբաթ:

94